საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
მენეჯმენტის საბაკალავრო
საგანამანთლებლო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:
მენეჯმენტის ბაკალავრი

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა:
259 ECTS კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა:

ეროვნული თავდაცვის აკადემიის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს მენეჯმენტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ენიჭება 259 კრედიტის დაგროვების შედეგად, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

- ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები 130 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტი 129კრედიტი;

საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების მიზეზი და პროგრამის აქტუალობა

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ძირითადი დამკვეთი და კურსდამთავრებულთა დამსაქმებელი არის საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, პროგრამაში გათვალისწინებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საგანმანათლებლო მოთხოვნები, ინტერესები და პრიორიტეტები, რაც წარმოადგენს წინამდებარე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების მიზეზს.

საქართველოს თავდაცვის ძალების წინაშე დღეს არსებული გამოწვევები დღის წესრიგში აყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების მცოდნე და შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე ოფიცრების მომზადების აუცილებლობას, რომელთაც ექნებათ მენეჯმენტის სხვადასხვა ქვედარგის ძირითადი თეორიების და პრინციპებისა ფართო ცოდნა, შეძლებენ მმართველობით საქმიანობისას წარმოქმნილი კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას და პრაქტიკულ გადაწყვეტას.

შექმნილი რეალობის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში ასევე მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულებმა მინიჭებულ კვალიფიკაციაზე დაყრდნობით, შესძლონ დასაქმება და სრულფასოვანი ინტეგრაცია სამოქალაქო სექტორში.

თანამედროვე სწრაფადცვალებად გარემოში ორგანიზაციის ადაპტირებისა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მენეჯერების მხრიდან ეფექტიანი მენეჯმენტის განხორციელების აუცილებლობა, რაც გულისხმობს მართვის ეკონომიკური, ორგანიზაციულ-ტექნიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების მთლიანობას.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებმა დააკმაყოფილონ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნები, შეძლონ დასაქმება საქართველოს თავდაცვის ძალებში, ასევე სამოქალაქო სექტორში. კურსდამთავრებულები შეძლებენ სწავლის გაგრძელებას, როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე. იქნებიან კონკურენტუნარიანები, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, შეძლებენ წარმატებულ კარიერულ წინსვლას და თავისი შესაძლებლობების რეალიზებას, როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებმა შეიძინონ ხარისხიანი ცოდნა, მენეჯმენტისა და ეკონომიკის ფუნქციონალურ მიმართულებებში, კერძოდ

· მენეჯმენტის თანამედროვე თეორიები, ადამიანური რესურსები, ოპერაციები, პროექტები, სტრატეგიული მართვა, ორგანიზაციული ქცევა და ლიდერობა;

· ფინანსები, მარკეტინგი, მიკრო და მაკრო ეკონომიკები, მენეჯერული აღრიცხვა და სხვა დისციპლინები;

· ასევე, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მისიის შესაბამისად, თავდაცვის ძალების და ქვეყნის ერთგული სამსახურისათვის მოამზადოს უმაღლესი აკადემიური განათლების, ეთიკური, მტკიცე მორალის და ლიდერის თვისებების მქონე ოფიცერი;

· გამოუმუშაოს პროფესიული და პიროვნული პასუხისმგებლობა.

პროგრამა მოამზადებს მომავალზე ორიენტირებულ ორგანიზაციების მენეჯერებს, რომელთაც ექნებათ ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, რაც მათ საშუალებას მისცემს წარმატებით იმოქმედონ კონკურენტულ გარემოში - შექმნან, მართონ და/ან წვლილი შეიტანონ როგორც თავდაცვის ძალების, ასევე სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ აბიტურიენტებს, რომლებიც დარეგისტრირდნენ მიმდინარე წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, რეგისტრაციისას აირჩიეს აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები და რომლებსაც მიმდინარე წელს არ უსრულდებათ 24 და მეტი წელი;

საბაკალავრო საგამანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა: ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენის, უცხო ენის და მათემატიკის/ისტორიის ჩაბარების შედეგები და ეროვნული თავდაცვის აკადემიის შიდა წესის შესაბამისად შესარჩევი ტურის გავლა (სამედიცინო შემოწმება, ფიზიკური ნორმატივების ჩაბარება და ფსიქილოგიური ტესტირება). აბიტურიენტს ეთა-ს იუნკერის სტატუსის მოპოვება შეუძლია აგრეთვე ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყებამდე აბიტურიენტები გადიან საწყისი საბრძოლო მომზადების კურსს (BCT)

იუნკერის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი

· ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენას ექვემდებარება აკადემიის საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხული ყველა იუნკერი.

· ენობრივი კომპეტენციის დონე განისაზღვრება საგამოცდო საკითხების ფორმატის, მასში მოცემული შეფასების კრიტერიუმებისა და მინიმალური კომპეტენციის ზღვრის საფუძველზე.

· საგამოცდო მასალის (ტესტის) შერჩევას/მომზადებას უზრუნველყოფს ბაკალავრიატის ენობრივი მომზადების განყოფილება.

· გამოცდების ორგანიზებას უზრუნველყოფს საგამოცდო ცენტრი, ბაკალავრიატი და აკადემიის შტაბის G3/G2-ის სასწავლო განყოფილება.

· იუნკერები, რომლებიც არ ფლობენ ინგლისურ ენას ვალდებულნი არიან გაიარონ აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სავალდებულო ინგლისური ენის ყველა სასწავლო კურსი.

· ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენის მიზნით აკადემიაში პირველ და მე-2 კურსის დაწყებამდე ტარდება (placement test) დიაგნოსტიკური ტესტი.

· იუნკერთა ენობრივი კომპეტენციის დადგენის შედეგად განისაზღვრება 5 დონე: A1, A2, B1, B1+, B2.

· იუნკერები ენობრივი კომპეტენციის დადგენის შედეგად გადანაწილდებიან შესაბამისი დონის ჯგუფებში: A1, A2, B1, B1+, B2.

· იუნკერები, რომელთა ინგლისური ენის ცოდნის დონეა B2, დაშვებულ იქნებიან STANAG-6001 -ის ტესტის ჩასაბარებლად:

- იუნკერები, რომლებიც დააკმაყოფილებენ ინგლისური ენის ცოდნის STANAG-6001 2/2/2/2 დონეს, შესაძლებლობა აქვთ შეისწავლონ მეორე უცხო ენა (გერმანული ან ფრანგული).

- იუნკერები, რომლებიც დააკმაყოფილებენ ინგლისური ენის ცოდნის STANAG-6001 2/2/2/2 დონეს, აკადემიაში სწავლის პერიოდში თავისუფლდებიან STANAG-6001-ის ტესტის ჩაბარების ვალდებულებისგან.

- იუნკერები, რომლებიც STANAG-6001-ის ტესტირების შედეგად ვერ დააკმაყოფილებენ STANAG-6001 2/2/2/2 დონეს, სწავლას გააგრძელებენ B2 დონის ჯგუფში.

- პირველი და მე-2 კურსის ბოლოს, იუნკერები, რომლებიც დაასრულებენ B2 დონის ინგლისური ენის კურსს, საშუალება ეძლევათ გავიდნენ STANAG-6001 2/2/2/2 დონის დასადგენ ტესტზე. დადებითი შედეგის შემთხვევაში აკადემიაში სწავლის პერიოდში თავისუფლდებიან STANAG-6001-ის ტესტის ჩაბარების ვალდებულებისგან და შესაბამისად შესაძლებლობა აქვთ შეისწავლონ მეორე უცხო ენა (გერმანული ან ფრანგული).

· კონკრეტული სამიზნე აუდიტორიიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში (ენობრივი კომპეტენციის დონე) მოხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება.

· მე-2 და მე-3 კურსების ბოლოს იუნკერს ჩაუტარდება სავალდებულო STANAG- 6001-ის ტესტი, შემდეგი მოცემულობით:

- II კურსი STANAG 1/1/1/1;
- III კურსი STANAG 2/2/2/2;

· იმ შემთხვევაში, თუ იუნკერი ვერ ჩააბარებს STANAG-6001-ის შესაბამის ტესტს არ იქნება გადაყვანილი შემდეგ კურსზე და მისი აკადემიიდან გარიცხვის საკითხი განიხილება აკადემიურ საბჭოზე.

სწავლის შედეგები პროგრამის დასრულების შემდეგ

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს მენეჯმენტის სფეროს ფართო ცოდნა, რომლის საფუძველზეც იგი:

- **აღწერს** მენეჯმენტის სფეროს საბაზისო ცნებებს, პრინციპებს, თეორიებს, არსებულ უნივერსალურ პრობლემებს და საკითხებს;
- **აცნობიერებს** მართვის მეცნიერების, მათ შორის ზოგადი მენეჯმენტის სფეროს ძირითად თეორიებსა და კონცეფციებს, კომპლექსურ საკითხებს და მათთან დაკავშირებულ თანამედროვე მმართველობით მიდგომებს;
- **განსაზღვრავს** საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების, ორგანიზაციების ეკონომიკური გარემოს ანალიზის მეთოდოლოგიურ საფუძვლებსა და ორგანიზაციის ეკონომიკური ფუნქციონირების მექანიზმებს;
- **ასრულებს** ძირითად მენეჯერულ ფუნქციებს (დაგეგმვა, ორგანიზება, კოორდინაცია და კონტროლი) და გადაწყვეტილებების მიღებისას, ხელმძღვანელობს ეთიკური პრინციპებით;
- **ახდენს** ორგანიზაციის წინაშე მდგარი მმართველობითი პრობლემების თემატურად იდენტიფიცირებას და გადაჭრის საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზაციული რესურსების დაგეგმვისა და მართვის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით;
- **აღწერს** მენეჯმენტის სფეროში არსებულ ეკონომიკურ, საფინანსო, მარკეტინგულ და საკადრო პროცესებს; მუშაობს გუნდურად და ამყარებს გუნდის წევრებს შორის კომუნიკაციას თანამედროვე მეთოდების და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
- **ასრულებს** კვლევითი ხასიათის ნაშრომს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- **ხსნის** ოცეულის დონის ქვედანაყოფის მართვის პრინციპებს და აღწერს ოპერაციების დაგეგმვისა და აღსრულების საფუძვლებს;
- **გეგმავს** და **ასრულებს** ოცეულის დონის ქვედანაყოფის ფარგლებში სხვადასხვა ტიპის სახმელეთო ოპერაციებს.
- **განსაზღვრავს** ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს და გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას.
- **წარმართავს** პროფესიულ საქმიანობას ორგანიზაციაში დადგენილი წესდებების, ეტიკეტის, პიროვნული და ეთიკური ღირებულებების დაცვით.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტებისა და სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილება, განათლების მეცნიერებებისა და სამხედრო პედაგოგიკის განვითარების უახლესი ტენდენციების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული მიდგომები, მათ შორის: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვ. საჭიროებისამებრ გამოყენებული იქნება სინქრონული/ასინქრონული ელექტრონული სწავლება.

შეფასების სისტემა

იუნკერების ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად; იუნკერთა დატვირთვა მოიცავს: ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ ან/და ლაბორატორიულ მეცადინეობას, დამოუკიდებელ მუშაობას, გამოცდების მომზადება-ჩაბარებას; საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობას და დაცვას, სხვა სახის საქმიანობას საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

იუნკერთა ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებებს და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) აქვს თავისი პროცენტული წილი.

შუალედური შეფასების და გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი განსაზღვრულია 30%-ით, დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი განსაზღვრულია 40%-ით.

საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის შეფასებაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომლის ხვედრითი წილი შეადგენს დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულის (40 ქულა) 50 %-ს ანუ 20 ქულას.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა იუნკერს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა. საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს.

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა; ;

ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60 ქულა ;

შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ იუნკერს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, ჩაიჭრა. იუნკერის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

იუნკერს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე სასწავლო კურსში - FX-შეფასების მიღების შემთხვევაში დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში;

იუნკერთა ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები გაწერილია ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში.

საჭიროებისამებრ იუნკერთა შეფასება (შუალედური/დასკვნითი) განხორციელდება ელექტრონული პორტალის მეშვეობით.

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულები დასაქმდებიან საქართველოს თავდაცვის ძალების საბრძოლო ქვედანაყოფებსა და უზრუნველყოფის სამსახურებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში.

კურსდამთავრებულის დასაქმებას უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ კურსდამთავრებულებს ექნებათ შესაძლებლობა დასაქმდნენ სამოქალაქო სექტორში. კერძოდ, სამოქალაქო სექტორის სხვადასხვა ბიზნეს სფეროში (ფუნქციონალურ, საშუალო და ქვედა დონის მენეჯერებად) და სახელმწიფო სექტორის საშუალო რანგის ადმინისტრაციულ-მმართველობით სფეროებში.

სწავლის გაგრძელების საშუალება

სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მაგისტრატურაში, ეროვნული თავდაცვის აკადემიის საკარიერო სკოლებში, სამხედრო პროფესიული განვითარების კურსებზე, როგორც საქართველოში, ისე – საზღვარგარეთ.